

၁၄၈၅၅၅-၁၄၈၅၅၅

მიჯილისში — დროშის რედაქციის განტარება, შედეგად ქუთაისის და კავკასიაში, ხანის ქუჩაზე, მათთვის სახლში. მიჯილისის გარეშე გზავნილობის ადრესტი: В Тифлиси. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

ქუთაისში — ლ. ო. ჯ. ს. თ. ა. ნ. — პოლიციის ქუჩაზე, მეღვინე პალატის სახლში.

მტვრის ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანე მიიღოს თავის ხარკით სტატკი; რომელიც გამოგზავნილი იყო ღროფებში დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისმაც მიზეზის გამო, არ დაიწედა. მთა აუცილებელი საწროება მოიხსოვს; რადგანა შეამოკლებს გამოგზავნილის სტატკას და ისე დაბეჭდს ზურგზე. —

საპრეზიდენტო და სალიბერალურ გავლენა

წელიწადი მეხუთე.

[illegible]

გრიძელის ველიდან

ხელოს ემხსოვრება, რომ 6 (18) აგვისტოს გერმანიელებმა მეცში მდგომ საფრანგჯარს დასაველეთიდან მოუარეს, დამარცხდა მეცში დაამწყვდიეს, ისე რომ დამკლულ ჯარს აღრაფერი მისელა-მოსელა დარჩა პარიჟთან და საფრანგეთის ჯაშუროვ ნაწილთან. მეცში დამწყვდეულ უფროსათ მარშალი ბაზენი ყავთ. მენაწილი, მაკ-მაჰონის უფროსობის ქვეშ, და პარიჟს შუა იღვა, შალონში; იმას დასაჯეს მძევად. მაჰონი დასაჯეს, თუმცა ნებას არ აძლევდა, რადგანაც პირი გზა შალონიდან მეცამდე მის ჯარს მაგრამ მაკ-მაჰონი შალონიდან იმ გზას იღებდა, რომელიც ჯერ ჩრდილოეთისკენ მიჰდა მერმე აღმოსავლეთით, მეცისკენ, უშველებელ მოსახევეს შერება. ამ ნიერმა გაბედულებამ, საუბედუროთ, ფუხაიარა, ამიტომ რომ ზერმანიის ჯარმა მაჰონს ოსტატობა შეუტყო და უკან გაზმინა, ბელგიის სამძღვრის ახლო, ქალაქის გვერდით, ს. ბოჰონს დიდი ზოგა არ ატყდა, რომელიც საფრანგეთის დამარცხებით და დატყვევებით გათავდა. მაჰონის მთელი ჯარის გარდა, გერმანებმა დაატყვევეს იმპერატორი ნაპოლეონ, რომელმაც ბრძოლის ველზე სიკვდილს ვერ მოახერხა, რომ ამ სიკვდილით აღდგნათ მაინც გამოეყიდა ის ენება, რომელიც იმან საფრანგეთს მიაყენა. ბრძოლის იმეც დროს, როცა მაკ-მაჰონი ბრძოლის ჯარის ერთ ნაწილს სამი დღის ბრძოლაში ერბოდა, მეცს ბაზენმა ხელმძღვანელობა გამართა, რომელიც მთელი საფრანგეთი გაგრძელდა. მაგრამ არც ამ დროს გათავისუფლა ბაზენი მეციდან, ამ სისხლის ღირამ გაუხსნა იმას გზა პარიჟს.

პარიჟის რევოლუცია

22 აგვისტოს (4 სექტემბერს) 1870
ენახოთ რა ამბავი იყო ამავე დროს
წმინდა. როგორც ერთ წინანდელ ნომერში
ნათქვამი (№ 33), ნაპოლეონის უკანას-
ხამინისტრო ყოველ ღონისძიებას
ობლა, ოღონდ კი ხალხში ომზე მარ-
ამბავი არ გაეყრცელებია, ისეთი, რო-
მმართველობისთვის ან ნაპოლეონის
ისთვის საენებელი ყოფილიყო. რასაკვირ-
რომ მ.რ.-ლათურის და რეზონ-
შემდგომ, ამ მმართველობას უსათუოთ

უნდა დაგერმანეზება საფრანგეთი. მართლაც, მაშინ, როცა მთელი მეროპა გაკვირვებით ტყაბულობდა იმ ამბავს, რომ ბერმანის ჯარს საფრანგეთის მხედრობა შუაზე გაეპო, ცალცალკე დასამარცხებლათ, საფრანგეთის მინისტრები ხალხს და მის დეპუტატებს აჯერებდნენ, ვითომ მეცთან ჩვენ გავიმარჯვეთ, და მეცა და შალონს შუა დაწყვედულ ბერმანის ჯარს ჩვენ დღეს თუ არ იქნა, ხეალ ზომ უსათუოთ მოგერყეით და ამოაწყვეტოთ...

მმართველობა ყოველ დღე ამ ნაირ ცრუ
ამბებს აფრცელებდა, და ხალხი, რასაკვირვე-
ლია, იმ აზრს გადაიწვია, რომ საფრანგეთის
სახელმწიფო უცხო ქვეყნიელების ხელი-
დან დახსნას თხოულობს: რაკი ჩვენ საღიდა-
თებს ვაუმარჯუნიათ, ჩვენ რაღა საჭირო ვი-
ქნებითო?

მმართველობას სურდა, წელწელა შეეშაღებინა ხალხი უბედური ამბის გასაგონებლათ, და ეინ იცის, იქნება იმას კიდევაც მოეხერხებია ეს საქმე, თუ რომ ზელოვის სამძღვარზე გერმანიელებს მაკ-მაჰონი არ დაემარცხებინათ.

მაკ-მაჰონი და მისი კაცები ახალი პარტიის მიმართ, და როცა ხალხს ის ცნობა მისელოა, რომ მაკ-მაჰონის ჭარბა იარაღი დაყარაო, პარიჟში, რასაკვირველია, მომხდარა დიდი არეულობა, რომელსაც ნაპოლეონის ტანტი წაუტაცია და საფრანგეთში რესპუბლიკა დაუარსებია.

რესპუბლიკა ისეთ საზოგადო წესს ქვიო, რომელსაც საფუძვლათ ხალხის ნება უძევს, და რომლის მმართველ ბაძდბა ამორჩიელო პირებს

ნაპოლეონის მმართველობა, როგორც სჩანს, გაქრა ეხლა საფრანგეთის ზურგიდგან, და საფრანგეთის ბედი, მისი ღირსება და კეთილდღეობა რესპუბლიკანური პარტიის ხელში გადავიდა. მაგრამ ისეც უნდა ვიცოდეთ, რომ თვითონ ამ პარტიაში რამდენიმე განყოფილებაა. ღღეს უფლება პოლიტიკური რესპუბლიკანელების ხელშია; მათი აზრით საფრანგეთის ბედნიერებისთვის საკმაოა, რომ მმართველობის წესში ზოგიერთი ცვლილებები მოხდეს, ზოგიერთი უფროსი პირები სამსახურში გამოიყვალონ, და მეტი არაფერი. მაგიერათ ეკლემიური რესპუბლიკანელები სხვა აზრზედგან: იმათი აზრით ეხლანდელი ხალხის ეკოფრება ბევრ ღრმა ცვლილებებს თხოულობს, ურამელთაოთ ხალხის მდგომარეობა მტკიცეთ და სახეიროთ დაფუძნებული არქნება.

ამ ორ განყოფილებას ეხლანდელ მდგომარეობაზე სხვა და სხვა გვაჩივრებს აქეთ, და ჩვენს თავისი საშუალება აქეთ მომზადებული საფრანგეთის ასამაღლებლათ და დასაყველათ. მაშინ, როდესაც „პოლიტიკები“ მხოლოდ მმართველობის წესის გამოცელიდან მგელას ელიან, ეკონომიური ცვლილებების მომხრეები ამტკიცებენ, რომ ხალხის ამაღლება, აღდგენა ისეთი ცვლილებებით უნდა დაიწყოს, რომ ხალხს თავისი საზოგადოება და აშუღი დედინაცვლათ კი აღარ, საყვარელ ზრუნველ დედათ მიჰნდეს, და ყოველი ალკე პირი თავის მომქმედში წინააღმდეგს და ტერს კი არა, თავის ერდგულ მომხრეს, ანაწმურომელს და მეგობარს ხედავდეს...

საზრუნველთა კომისიების მდგომარეობა

მცდა ორი წლის მმართვეის შემდგომ, ნაპოლეონი აი როგორ მდგომარეობაში უტოლებს საფრანგეთს რესპუბლიკას:

შწინდელი ვალების სარგებელი ექნება
გადასახადი რესპუბლიკას წელიწადში:

საქმლმწიფო სესხის (რენტის)	ფრანკი *)
სარგებელი — — — —	365,383,082
ძანაღების და სხვა და სხვა სამუშა- ვებისთვის ნასესხი ფულის სარგე- ბელი — — —	16,000,000
მორაოთ დატოვებული ფულის სარგებელი — — — —	8,000,000
„ხელოთ ვალის“ (dette flottante)	
სარგებელი — „ — „ —	30,000,000
ჰენსიის ფული — „ —	76,000,000
რკანის გზების გარანტია — — —	31,000,000

სულ სარგებელი — „ — 526,383,082.

მს სარგებელი უნდა აძლიოს სახელმწიფო-
იმ თავნებე, რომელიც თვითონ სახელმწიფოს
უკისრნია. ამ რიცხვებში წლებანდელი მილი-
არდები არ გვიანგარიშნია. — ამას გარდა, სა-
დარანგეთის ქალაქებს და სოფლებს ნაპოლეო-
ნმა დიდ ძალი ეალი დაატეხა, იმ აზრით,
რომ ქალაქებს გავალამაზებ, თან ქუჩებს
გავაფართოვებ, რომ ხალხმა შიგ ჯარს ევრა
დააკლოს რაო, და თან მუშებს სამუშაოს
მიეცემ, რომ ამით მათი გუნება დავამშვიდოო-
მარტო ერთ პარიჟს აძევს ეხლა ხუთასი მილი-
ონი ეალი და ხუთას ორმოცდა ათი (550)
მილიონის „ხელთ ეალი“. მარსელს, ათი
წლის განმავლობაში (1854—1864), ასესხე-
ბინეს ოთხმოცი მილიონი, ლიონს — ორმოცი
მილიონი ასესხებინეს, და თხუთმეტი მილი-
ონათ ქალაქის ადგილები გააყიდვინეს. — სხვა
და სხვა ქალაქებს ასესხებინეს და დაახარჯე-
ნეს მარტო ცხრა წლის განმავლობაში (1852—
1861) ექვსას ორმოცდა ოთხ მილიონამდი
(643,989,000).

მაჰს რასაკვირველია სულ სარგებელი უნდა.
მხლა რამდენი ნაირი ხარჯია სამხედრო საქმე-
ებში, თუ ზღვაზე, თუ გზების კეთებაში—ეინ
მოითვლის. საქმაო იქნება ეთქვათ, რომ
სახელმწიფოს შემოსავლის **მეოთხედი** მარ-
ტო სახელმწიფო ეალის სარგებლათ
მიდის; დანარჩენი სამი მეოთხელიდან ნახევარ-
ზე ცოტათი ნაკლები სამხედრო ნაწილზე
ხარჯება, ასე რომ ხელის გასანძრევათ და
სულის მოსაბრუნებლათ ახალ მმართველობას
თითქმის არაფერნაირი საშუალება არ დარ-
ჩება, ხელ-ახლავ სესხის გარდა.

მე გაჭირვებულ მდგომარეობაში, რასაკე-
რეელია, ახალ მმართველობას სულის ჩადგმა
დაუჭირდება, და როცა დაინახენ, რომ მისი
დაქმნე მშვენიერათ არ მიდის, იტყვიან, ეს რესპუ-
ბლიკის ბრალიაო. მაგრამ რა უნდა ქნას კაც-
მა, და რა მოახერხოს, როცა სამკვიდრებე-
ლათ იმას ამისთანა დაუთვალავი ეალი და
დახლართული ანგარიშები რჩება?

მკითხველი ნახავს დღეს რესპუბლიკის
როგორც მმართველების ბიოგრაფია, ანუ

*) შიანკი ხუთი შაურია; მაგრამ, ეხლანდელი კურ-
ით, ის ეძვს შაურზე მეტათ ჯდება.

უფრო სწორეთ ეთქვათ, ხასიათის აწერას.
 დანარჩენი წყევრების ბიოგრაფია დაბეჭდილი
 იქნება შემდგომ ნომერში.

სტრუქტურის ახალი ფორმებზე

(ისტორიული ბიოგრაფია)

შულ ქაპრი დიამბა ლიონს, 18 (31)
მარტს 1809, მამასადამე ის ეხლა სამოცდა
ერთი წლისაა. 1830ში იმან დაასრულა თავი-
სი სწავლა პარიჟს, და შეუდგა ადვოკატო-
ბას, სადაც მალე დაიმსახურა სახელი პოლი-
ტიკური დამნაშავეების დაცვით. ათას რეა-
სიონარს და რევოლუციონარს რესპუბლიკური პარტიის
წინამძღოლად, ლე დ რუ-როლ ლენ მ ა
შულ ქაერი თავის სეკრეტარს გაიხადა, რო-
ცა ახალ დაარსებულ რესპუბლიკაში შინაგა-
ნი საქმეების სამინისტრო ჩამდგა. ამ ადგილს
ქაერმა თავი გამოიჩინა მშვენიერი მიწერი-
ლებებით, რომელიც იმან ახალ დანიშნულ
მმართველებს დაუტოვა, და რომელშიაც გა-
მოთქმული იყო, რომ რესპუბლიკის მოსამ-
სახურეები შეუზღუდავად და მოუხსენებელი
უნდა აარსებდნენ რესპუბლიკურ წესს, თუნდ
რომ ეს დაარსება ზოგიერთისთვის უსიამო-
ვნო და საწინააღმდეგო იქნესო. მაშინ, რეს-
პუბლიკის საუბედუროთ, ეს აზრი ყურადღე-
ბაში არ მიიღეს; მთელი მმართველობა ისე
მოქმედებდა, თითქო რესპუბლიკის მტრების, და
არა მომხრეების სიყვარულის მოპოება სურდა;
რასაკვირველია, რომამნარი მოქმედებით იმან
მტრებს იარაღი ვერ დაუყრევინა, და მაგიე-
რათ თავისი მომხრეები და მეგობრები კი,
მტერის დასაკმაყოფილებლათ, დააძაბუნა და
დაჩაგრა...

მრამოცდა რვაში ჰულო ჭაერს მეტი არა-
ფერი უქნა რესპუბლიკის სახეირო; ცოტანის
შემდგომ შისი მოქმედება პირდაპირ საენებე-
ლი შეიქნა რესპუბლიკისთვის. ასე, მაგალი-
თად; როცა პარიჟის ხალხი მოძრაობაში იყო,
და რესპუბლიკის მმართველობას თხოვდა, ისე
გაწყვეთ საქმეები, რომ ჩვენ პატრონები ასე
უღმერთოთ არ გვდღეტდნენო, ჰულო ჭაერმა
პარლამენტს მოსთხოვა ლუი ბლანი დასაჯეთ,
ამიტომ რომ მისი ბრალია ხალხის ამნაირი
აღელვებანი...

მართი წლის შემდგომ, ჰულ-ჟაერმა ხელ-
ახლოვ. გამოაჩინა, რომ საზოგადო და სახელ-
მწიფო საქმეებში იმას დიდი წინ-გამჭერეტე-
ლობა არ ჰქონია. 1849 რომში რევოლუცი-
ამოხდა; რომის ხალხმა პაპი გაისტუმრა, და მის
მაგიერათ დაფუძნა რესპუბლიკა, რომლის
უფროსობა შაქინის ჩაბარდა. საფრანგეთის
რესპუბლიკის ახლომა თანემჯდომარემ, ლუი-
ნაპოლეონ ბონაპარტემ, რომის რესპუბლიკის
მოპოვება მოინდომა, და საფრანგეთის პრ-
ლამენტი დააჯერა, ვითომ ავსტრია რომში
ჯარის გაგზავნას აპირებდო, და თუ ჩვენ რომს
ჯარი არ დაეხმარებო, რომს ავსტრია დაიკა-
ვებდო. პარლამენტში ამ წინადადებაზე ილა-
პარაკა ჰულ-ჟაერმა, რომელმაც თავისი მხრით
ურჩია რომში ჯარის გაგზავნა, იმ აზრით,
რომ ჯარი რესპუბლიკას დაეხმარებო, მაშინ,
როდესაც ჟაერის პარტიაში ყველასთვის აშ-

კარა საქმე იყო, რომ ბონაპარტე რესპუბლიკის დასაქცევით გზავნიდა რომში თავის ჯარს. მართლაც, ცოტა ხნის შემდგომ საფრანგეთის ჯარმა აიღო რომი *), დაარღვია რესპუბლიკა და რომის ტახტზე უწინდელით პაპი დაჯდინა.

შემდგომში, როცა ბონაპარტე თვითონ საფრანგეთის რესპუბლიკის დარღვევაც მოინდომა და დეკემბრის ორს 1851, ხალხის დეპუტატების კრება დახურა, შულ-ჟაფრი იმ რესპუბლიკანელების რიცხვში გაერია, რომელთაც ბონაპარტეს ჯარს იარაღით უწინააღმდეგეს. მაგრამ მათმა წინააღმდეგობამ ვერა გაარჩია რა: ბონაპარტემ მაინც და მაინც საფრანგეთში საიმპერატორო ტახტი გამართა და ზედ დაჯდა ნაპოლეონ მესამის სახელით.

რესპუბლიკის დაცემის შემდგომ, შულ-ჟაფრი ხელ-ახლავ ადვოკატობას მისდევ; მაგრამ 1857ში, როცა საფრანგეთში დეპუტატების ამორჩევა იყო დანიშნული კანონმდებელ კრებისთვის, ის ამორჩიეს ლიონის დეპუტატად, და მასაქეთი ის კანონმდებელ კრებაში მმართველობის მოქმედებას ჩხრეკდა და ჰკიცხავდა, აგრეთვე როგორც მისი მეგობრები მძიმე მტლივით, პიკარი და სხვ. 1858ში ჟაფრმა განსაკუთრებით ისახელა თავი მრისინის დაცვით, როცა მრისინი ნაპოლეონის მოკვლა მოინდომა. მთელი ამ პროცესში სასამართლომ მრისინის თავის მოკვლათაგან, შულ-ჟაფრის სახელი მაინც მთელ მეროპაში გაეკრდა, ისეთი სახით გამართლა იმან მრისინი საზოგადოების და შთამომავლობის თვალში. მაშინდელი პროკურორის სიტყვისა არ იყოს, შულ-ჟაფრმა თავმოსაკეთი ეშაფრტის გვერდით ავგო მშვენიერი ძეგლი, რომელიც მრისინის პატივსაცემად და მამულისთვის თავ-გაწირულობას გადასცემს შთამომავლობას.

მაგრამ, მიუხედავად შულ-ჟაფრის ნაპოლეონის მმართველობას წერილობრივ ებრძოდა და მის წერილობრივ შეცდომილებას და დანაშაულობებს ქვეყნის თვალწინ აჩენდა, საფრანგეთში აღიზარდა ახალი თაობა, რომელიც ორმოცდა რვაში ჯერ ძლიერ ახალგაზდა იყო. ამ ახალი თაობის აზრით, ნაპოლეონის მმართველობას ერთი აუხრცავი და შეუდობელი შეცდომილება ჰქონდა, — რესპუბლიკის დარღვევა და საფრანგეთის დამცირება. და რადგან იმან ძალის ხმარებით დაიპყრო საფრანგეთი, მის წინააღმდეგ, კაცმა სიტყვა და შეგონება კი არ უნდა იხმაროს, უნდა ეცადოს იმოტენა ძალა და მომხრები მოიშალოს, რომ საფრანგეთს ძალისხმევით შეეძლოს ნაპოლეონის გადენა და ხელ-ახლავ რესპუბლიკის დაარსება. — ნაპოლეონმა და მისმა მომხრეებმა უჩვენოთაჲ კარგათ იციან, თუ რა უსამართლობას და უხეირობას შერბიან, ამბობდა ეს ახალი თაობა; ამის ათასჯერ გამეორება უსარგებლო საქმეა. ჩვენ ძალის შოვნას და ძალის ხმარებას უნდა შეუდგეთ ამიტომ რომ ძალის მეტი ნაპოლეონების უფლებიდან ვერა დაგვიხსნის რაო... *

ის აზრი გამოთქვას პირველად შარშან როცა დეპუტატების ამორჩევის დრო იყო, რომ ჟაფრმა და მისმა თანამოაზრეებმა, რომელნიც ამ შემთხვევაში ახალი თაობის აზრის გამომთქმელნი შეიქნენ. — ჩვენ ისეთი პირები გვჭირათ, ამბობდა მაშინ ეს თაობა, რომელნიც, პირდაპირ შეუპოვრათ შეეძლებინა ნაპოლეონის მმართველობას და ჯარს, და არა იქნებოდა, რომელნიც საფრანგეთის მმართველობის მოშაქრული გაიქცნენ და ფრთხილ შეეცნენ ხალხს სრულიად აბრმავებენ და

აჯერებენ, თითქო მმართველობას სასტიკ ზედმხედველები ადგიან თავზეო. — ამ სიტყვებს დიდი გავლენა ჰქონდათ საფრანგეთში, ისე რომ შარშანდელი ამორჩევის დროს, შულ-ჟაფრი თავისი ლიონის დეპუტატობიდან გდმოაყენეს. და ხუთ ექვს ადგილს სხვაგან ამორჩეველთა დასტოვას; ის მხოლოდ მეორე ამორჩევის დროს, დეპუტატად გამოიყენეს პარიზში, სადაც ის თავის ამომრჩეველებს და პირდა, რომ დღის იქით შეუროგებელ მტერ-სავეთ მოვემკრობი ნაპოლეონის გეგასო. მაშინაც ჟაფრის წინააღმდეგ, რომ ჟაფრის, თითქმის იმის ოდენი კენჭი ერგო.

შულ-ჟაფრი ისეთი კაცია, რომლისთვის პირველი საქმე სიტყვის თქმა კანონმდებელი კრების ანუ დეპუტატების, ანა და ხალხის წინ. მართლაც, მისი „სიტყვები“ უმეტეს ნაწილად შესანიშნავი რამ არიან. მაგრამ ეხლანდელი ომის დროს იმან ხელ-ახლავ აღმოაჩინა, რომ არ ეარგა საქმისთვის, და განსაკუთრებით ისეთ საქმისთვის, რომლის ასრულებასე მამულის ბედი ჰქონდა. აქ გარჯილობა, მოხერხება, გამჭირაობა, განდუღობა და თავ-გამომეტყულება საჭირო, და არა ლაზათიანი სიტყვების აკინძვა ერთი მეორეზე და უსაქმო მსმენლების ლაპაზი სიტყვის წყობილებით გაკვირება. შულ-ჟაფრი, საუბედუროთ, უფრო ამ უკანასკნელი საქმისთვისაა გამოსადგვი. მართლაც, მისი და მისი თანამშრომლების პირველი განკარგულება ის ყოფილა, რომ პარიზში შეიკრიბოს ახალი დეპუტატების კრება, — როცა აუცილებლად საჭიროა და იქნება მსურველი მოძებნა და დამზადება მამულის დამცველი და ამყენებელი საშუალებებისა. — შექველია, რომ ხალხის იმისთანა პირებს აირჩევს დეპუტატებათ, რომელთაც საქმის დაშლის და დაფუშვის მეტი არა შეეძლებათ რა. მაგრამ ეხლანდელი მმართველობის აზრით ესეც კარგია, ამიტომ რომ იმან ეხლა ორი რამ აკლია: მამაცური გაბედულება, რომ მამულის ბედი თავის-თავზე იკისროს, და ტაშის მკერელი მსმენლები, რომლის წინ მშვენიერი და დაუბოლოებელი სიტყვების თქმა შესაძლებელი იქნება...

გამგებთა. — ის ახალგაზდა ადვოკატი, ორი წელიწადია მას აქეთ, სრულიად უცნობი და ბნელი კაცი იყო. სამოცდა რვაში, წლის დამლევს, ნაპოლეონის მმართველობამ სამართალში მისცა ზოგიერთი მწერლები, იმ მიზეზისთვის, რომ იმათ ფულის შეკრება დაეწყათ ბოდენისთვის *) ძეგლის ასაშენებლად. მით ამ მწერლებთან დამცველად ჰყავდა ახალგაზდა ადვოკატი გამგებთა, რომლის სიტყვა, ერთი კვირის შემდგომ, მთელ საფრანგეთში გაეკრდა. ამ სიტყვაში გამგებთა ძალიან სასტიკად ჰკიცხავდა ნაპოლეონის მმართველობას, და თვითონ მის „შეუროგებელ“ მტრად გამოდიოდა. „რაც ჩვენ, საფრანგეთში, მმართველობაზე გვეყოლია ამ უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში, თქვა მაშინ გამგებთა, ყველაზე მათგან განსაკუთრებით მიჩნდათ ის დღე, როცა ასინი დაარსდნენ და როცა მათ საფრანგეთის ბედი ჩაბარდათ. მხოლოდ ორ მმართველობას ეზარებათ, ეზიზღებათ თავიანთი დაარსების დღის მოგონება, — ნაპოლეონ პირველის და ნაპოლეონ მესამის მმართველობებს. მაგრამ, თუ იმათ ეზიზღებათ იმ დღის მოგონება, როცა იმათ ჩვენი რესპუბლიკა მუხთლად მოჰყავს, ჩვენ თვითონ, რესპუბლიკანელები, ამ დღეს დღესასწაულად ვიხსენებთ და დღესასწაულსავეთ ვიხსენებთ! — ჩვენ მმართველობას, თქვა კიდევ გამგებთა, ისეთი მიზანი და მიმართულება აქვს, ის იმნაირი ხასიათისაა, რომ იმას არ შეუძლია დღის სინათლეში ამკარათ თქვას: მე ესა და ეს მსურს, ამა და ამ

მიზანს მივდევო. ის მოქმედებს სიბნელეში; უსიბნელოთ, იმას გაძლება არ შეუძლია! — ასე აშკარად, პირდაპირად, დაუშლავად, ნაპოლეონზე აზრი არაფის გამოთქვა, რომ ჟაფრის მეტს. მაშასადამე გასაკვირველი არ არის, რომ გამგებთა მაშინვე სახელ-გათქმული შეიქნა; და როცა, ხუთი თვის შემდგომ, დეპუტატების ამორჩევის დრო მოვიდა, პარიზის ხალხმა ის ნაპოლეონს დეპუტატად დაუნიშნა.

დეპუტატობაში, გამგებთა ვერ მოახერხა თავისი სახელის უწინდელ სიმაღლეზე დაეცა; ამ ომის დროს, მისი მოქმედება განსაკუთრებით ძაბუნი და დაუდგარი იყო. როცა ყველა სიტყვის აშკარა შეიქნა, რომ ნაპოლეონის მმართველობა ხალხს ატყუებდა და თვალს უხვევდა, როცა ყველანი დარწმუნდნენ, რომ მმართველობას საფრანგეთის დაცვისთვის არც ნიჭი, არც შეძლება და არც სურვილი ჰქონდა, გამგებთა ქადაგება, რომ ეხლა მთელი ხალხი უნდა მმართველობას მიზდევდეს და ეინც ამ მმართველობის გადმოგდებს დაპირებს, ის, როგორც მამულის მტერი, დახერხების ღირსიყო, მაშინ როდესაც იმას პირდაპირ უნდა გამოეთქვა მთელი საფრანგეთისთვის, რომ მამულის საშველად, მისი ასამაღლებლად, უპირველესი საჭიროება — ნაპოლეონის მმართველობის გამოცემა იყო.

რომელი. — ის ახალგაზდა მმართველი, რომელიც სატუალოდან პირდაპირ სახელმწიფოს მმართველის რჩევაში გადახტა, იყო — აგრეთვე ამ ორი წლის წინ — ერთი ფრანკ-შული გაზეთის ფელტონისათ. იმას კვირაში ორჯერ, მკითხველის გასაღიმებლად, ფელტონი უნდა დაეწერა. ამ ფელტონებში რომ ჟაფრი თანდათან უფრო და უფრო ხშირად დაეცინებოდა ჰკიცხავდა მმართველობის პირებს და უფრო მამაცურად ებრძოდა, სიტყვის გადაკრით, ხალხში ნელ-ნელა ნაპოლეონის სახელს და გავლენას ტეხდა. უფრო სასტიკად, აშკარად და ბასრად დაიწყო იმან ლანძღვის სიცილი, როცა თავისი საკუთარი პაწაწინა ჟურნალი, „შარანი“, გამართა. ამ ჟურნალში ისმუდამ იმ კილოზე დასცინოდა მმართველობის პირებს, რომ, რაგინდ ბევრი იხტუნათ, თქვენ მაინც უბრალო, უხეირო და სუტი კაცები ხართო.

რომ ჟაფრი ისეთ ნაირად სწერს, რომ მისი ნაწერი ყველასთვის გასაგები და ადვილად წასაკითხია; ერთი მისი დაცინვა თითქო გახურებული შანთით იდგება მასხარად აგებული კაცის შუბლზე. — ამაში მდგომარეობს ის გასაკვირველი ძალა რომ ჟაფრის, რომლის შემწეობითაც ამ ერთმა ახალგაზდა, უცნობელმა, სრულიად მარტო ხელმა კაცმა ასე საშინლად დაანძობა ნაპოლეონის ტახტი და ასე შეამცირა საფრანგეთში ნაპოლეონის სახელი.

რომ ჟაფრი სრულებით არ ჩამოგავს ახალი მმართველობის დანარჩენ წევრებს: იმას არ უყვარს ლაპარაკი; მაგიერათ ის განხორციელებული გაბედულება, მამაცობა და მოხერხებლობა. მართალია, იმას საუფუძლიანათ არა აქვს ნასწავლი საზოგადოების საჭიროებები და მათი დასაკმაყოფილებელი საშუალებები. მაგრამ ამ შემთხვევაში, მისი თანამმართველები, თუ იმაზე მეტი არა, ნაკლები უმეტესები მაინც არ არიან.

შულ-სიმონი, პიკარი, პელტანი და შულ-ჟაფრი ნამეტანთ შესანიშნავი არ არიან. ის ყველანი იმავე გზაზე ადგიან, როგორც შულ-ჟაფრი, — ანა და იმაზე უფრო კადნიერები არიან, როგორც, მაგალითად, პიკარი. შულ-სიმონი გამოჩენილი მწერალია, რომლის თხზულებები განსაკუთრებით სახალხო განათლებას და ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას სჯიან. მაგრამ ამ თხზულებ-

ბაებში შულ-სიმონს ერთი დედა აზრი რომელიც მის ნაწერებში მთელსა და მთელსა შულ-სიმონს — „შარანი“ — ჰქონდა ხალხს გაკვირება და ვაი-ვაგლახი ადგიან ზოგი საშუამოდ მის კისერზე უნდა და ზოგს ცალკე პირების ქველის-მოკე შეამცირებს. საუბედუროთ, ეს ქველი მედბა მუდამ უძლურად ჩნდება, რომ ამ საქმეს მხოლოდ მთელი საზოგადოებისა და ცხოვრების შეცვლა მოუხერხებოდა. პიკარი ამ საქმეებზე არც კი ფიქრობდა, მისი წიგნები პარლამენტში ლაპარაკი, ოხუნჯი სიტყვის თქმა, რომელიმე მანი მოსამსახურის, ანა და მინისტრის, ნება და გაბეზრება, რამე დაძველებული წიგნის გამოძახება და დროზე გახსენება თი სიტყვით, როგორც უბრალო, ხელწვერი, პარტიისთვის ეს სასარგებლო იყო, ამ უკანასკნელ დრომდით, როცა ნალამ გადადგა ნაპოლეონის მხარეზე და ტათი არ იყო კიდევაც შეუდგა მოგზას.

პელტანი დიდი არაფრითაა შესანიშნავი. მხოვეტებული მწერალი ძალიან ბასრ და თხზულებებს სწერდა, მაგრამ, შულ-სიმონს არ იყოს, ამ თხზულებებს საუფუძლიანათ რიგის კანონების ცოდნა არ უძევს, საუფუძელი, კანი და შინაარსი უფრო კეთილბეა, გრძობა და ჭანჭანია, მიუხედავად გონიერი ცოდნა კაცის ბუნებისა. პელტანი ლამარტინის და ლაგერონიერის ნამშრომელი იყო ორმოცდა რვაში. აშკარად სჩანს, რომ მასზე საფრანგეთის იმედი არ უნდა ჰქონდეს...

ამათგან ბევრით არ გაირჩევა შულ-ჟაფრი რომლის ნიჭს და ცოდნას ნამეტანა ფრით არ გამოუჩენიათ თავი. მისი თხზულებები, სიტყვები და მოქმედებები სავეთ გაპარსული და გახამებული იმათში ისეთი არაფრია, რასაც კი კაცის და ყურადღების მითვისება შეუძლებელია. მუდამ თავ-დაკავებულია, მუდამ თავიდან ახალს, უცნობს აზრს, მუდამ ლობს დააკმაყოფილოს ყოველნაირი ხალხი, ერთი სიტყვით, ეს ისეთი მწერ-ჩვენებური ანდაზისა არ იყოს, რომ მმართველობის ერგება რამ, არც კაცს.

გარნი-პაჰეს — შესანიშნავი მით, ოცდა ათი წელიწადია მას აქეთ იმას და ძმა, რომელიც პატიოსნად და მითხრავდა რესპუბლიკის სახელს. — უფრო სახსენებლად, უნცროსი დეპუტატად და სამაგიეროდ ამ შთამომავლობითმა ტატმა თავისი მოქმედებით ათი იმედი დაამცირა რესპუბლიკის სახელი, რამდენს სახელი მისმა ძმამ აამალა. მაჰესი განსაკუთრებით ცუდად მოიქცა მოცდა რვაში. მის „მრამოცდა მერვე“ რევოლუციის ისტორიას „ზღაპარი“ რქვას კაცმა, კიდევ ცოტა იქნება.

მისი არიან საფრანგეთის ახალი მმართველობის ადვილად მიხედება, რომელიც ამათზე უკეთესი მმართველების მგერამ ნურც იმას დაევიწყებთ, რომ გეთს უმჯობესი პირებიც ბევრი უმეტესია, რომ უცბად, არეულობა ბოძოლის დროს ამორჩეული პირე უმეტესი ნაწილი მალე დაუთმობს სხვა, უფრო საიმედო პირებს... მაგრამ უნდა იყოს ეხლა საფრანგეთის მმართველობა ხელი მოუშაროს იმისთანა და მშვენიერ საქმეში, როგორც მამუცვა უცხო ქვეყნელების ხელიდან...

*) აი ამ ომის დროს საქვეყნოდ გავრდა პირველად გარბილდის სახელი, რომელმაც მრავალჯერ გასაოცრად დამარცხა საფრანგეთის ჯარი, და რამდენსამე თვის განმავლობაში რომი მტრისაგან დაიცვა. მთელი ქვეყნის აზრით, ეს დაცვა საშაგლიყო და საუცხოვო რამ იყო.

*) ბოდენი რესპუბლიკის დეპუტატი იყო; ის რესპუბლიკის დარღვევის დროს ჯარის წინააღმდეგ გამოვიდა და ნაპოლეონის ჯარს თავი შეეკლა.

საქართველო

რუსულ გზეთს ხმას გაუგონია ვითომც
სხელმწიფო რჩევის გადაწყვეტილებისამებრ
შარშანდელი სმეტიდგან დარჩენილი ფული
275,000 მან. დაინიშნება ძავეასიის არმიის
გაულოდნელი საქაროებისთვის.

„Гол.“ № 242.

ჩვენ გაიგონეთ, ვითომც სამი-ოთხი ხოლ-
ით ავამყოფობის შემთხვევა ყოფილა ჩვენს
ქალაქში. როგორც ამბობენ, სხვათა შორის
ბელაბარში მომკვდარა და ერთიც ნე-
ტულში. პიდეც მართალი რომ გამოდგეს
სმებში, თფილისელებს მაინც არ უნდა შე-
ინდეთ, რადგან ამჟამში გაჩენილი ხოლ-
ეს სრულიად ვერაფერს იქ: ვერ გაძლიერ-
დება, ფებს ვერ მოიღვამს, ამიტომ რომ,
თვის მადლით, მალე ზამთარი მოაწეს.

წარსულ თვის 5-ს პეტერბურღში გადა-
ცალა იენანე შოპენი, რომელიც გამოჩე-
ნილი იყო სწავლულებში აღმოსავლეთის
ისტორიის და ლიტერატურის ცოდნით. სხვა-
თა შორის ის ბევრს სწერდა საქართველოს
და სომხეთის ისტორიაზე; იმის ყველაზე შე-
ნიშნავ თხზულებას ჰქვია სახელათ: „ის-
ტორიული ძეგლი სომხეთის მახრისა რუსეთ-
ის შეერთების დროს“; ამ თხზულების-
ის იმან მიიღო პატივისცემისაგან დემიდოვის
ფონდის. შოპენი მოვიდა რუსეთში 1820-ში;
მდინარე ხანი დაჰყო ჩვენში და ცხენით
თარა თითქმის ყველა ჩვენი რითიმე შესანიშ-
ნა ადგილები. ამბობენ, რომ იმას დარჩე-
ბ ბიბლიოთეკა, რომელშიაც ძალიან ბევ-
რი წიგნები და მატარებელი ურევია თურმე სა-
თველოდა და სომხეთის ისტორიის შესა-
ნი.

ჩვენ გაიგონეთ, ამბობს გზეთი „ხმა“,
ამ გზების მინისტრის წარდგენილებით, იმ
სმებს გარდა, რომელიც 1870 წლის სმე-
თ არის დაინიშნული, შოთიდან—თფილი-
ის რკინის გზისათვის დაუნიშნეს კიდეც—
271,000 მან. იმ ფულებიდან, რომელიც
გადაღობ რკინის გზებისთვის არის გადად-
ებული.

წლებიდან პეტერბურღის გამოფენაზე
არაქში რუსული ჟურნალი „Вѣстникъ Ев-
როпы“ მოიხსენებს გაკერით ძავეასიის ნაწილ-
ის ძავეასიის ნაწილი გამოფენისა ძალიან
მეტრესია; ძავეასიის აბრეშუმის ქსელი უფ-
ო კარგი ნაქსოვია ვიდრე თურქისტანისა.
გრამ თურქისტანის ნაქსოვი ქსელი უფრო
გაქსოვია.

ქამლის ჩვენ რიგინი აღწერა არა ვიცით
ამ გამოფენის ნაწილზე. რომელი ნაწარ-
ები უფრო ბევრი ყოფილა, რომელი ნაქ-
სო, — ყველგან გაკერით, კილოკავთ ლაპა-
ზე გვხვდება.

წლებიდან უხილობა დიდხანია ძა-
ვარ უნახავს. აგერ მარიამობისთვე გავიდა
ქრმენი ჯერ ისევ მკაფია და ძვირიც არის;
ქრსა სამ ოთხ აბაზათ. მაშლი და მსხალი
გზანია სასუნებლათ მოეტანოთ; ნესვი
ზამთრო საქმათ იყო, მაგრამ შარშან-
დელი ერთი ორათა ფასობდა.

როგორც შეიქცეთ, ქალების კურსები და-
ვება ამ თვეში. ჯერ გადაწყვეტილ დრო
არის დაინიშნული და არც განცხადება.
სმები კი უეჭველათ იქნება. ამბობენ, ლე-
იანების დაგვიანების მიზეზი ის
იქნა, რომ ქალებს ქუჩაში, რეალურ გემ-
ში, სიარული უჭირდებოდა და როგორც

შარშან იყო კლასიკურ გემნაზიაში, ლეინო-
ბისთვის პირველადის ვერ იელოან, რადგა-
ნაც იმის შენობა გასაკეთებელია.

„სასოფლო ბაზეთი“ გეცნობებს, რომ
იპერეთში სოფლის მოხელეების ამოჩრევა
გათავებულა და რამდენათაც ჩანს, ძველ მო-
ხელეებზე უფრო სანდო კაცები ამოურ-
ჩევიათ. მს უეჭველათ ასე იქნება: ხალხი თან
და თან თავის საქმის უკეთესათ წაყვანას შე-
ენეცა, თუ არსაით დაბრკოლება არ მიეცა.

„სასოფლო ბაზეთში“ ვკითხულობთ სასი-
ამოენო ამბავსა შორაპნის უეზლიდან, სადაც
რამდენსამე სოფლებში გადაუწყვეტიათ: 1)
სოფლის შკოლებსათვის მუთაისში ოსტატე-
ბის გასაზღვრლათ მუდამ წელს კომლზე ექვს-
ექვსი შაური გადაიხადონ; 2) პურის მალაზო-
ების გასამართათ შეიტანონ წელიწადში
კომლზე ექვს-ექვსი ბათმანი (სამი კოდი) პუ-
რი, ანუ სიმინი.

მწენისთვლამ თფილისის თეატრში დაიწყო ჩვეუ-
ლებისამებრ რუსული სპექტაკლები და იტალიური
ოპერები.

სურამისკენ, ამბობენ, ცუდი მოსავალი ყო-
ფილა პურისაც და ლეინისაც.

ქალაქში ფოტოგრაფ მაიკონიანთან, გალანის პრეს-
პეტზე, ისყიდება ფრანკულების და ნემეცების გენარლე-
ბის სახეები, რომელნიც გამოჩენილი შეიქნენ ეხლანდელ
ომიანობის დროს: ტროშუ, ბაზენი, ძალი, მაკ-მა-
ზონი, პალიკა, მოლტკე და სხვანი. აგრეთვე საფრან-
გეთის დროებითი მმართველობის რამდენიმე წვერის სა-
ხეები: ბამბეტასი, შულ-შაერისა, შულ-შერისა, პელ-
ტანისა: პიკარისა, შულ-სიმონისა.

მუთაისის სამხედრო ლუბერნატორის მიწე-
რილობა უეზლის ნაჩლნიკებისადმი 19 აგვ.
1870 წ. „სახელმწიფო ქონების სამინისტროს
განკარგულებით წელს ოქტომბერში ოდე-
სას იქნება ლეინობის გამოფენა *) და ამას
გარდა დაწესდება ყოველწლივითი მეოჯახე-
ების კრებაები ლეინოს მოყვანაზე მოსალაპა-
რაკებლათ. ბამოსაფენი ნიეტების მიღება და-
იწყება 1 სექტემბერს და გათავდება 1 ოქ-
ტომბერს. ბამოფენა გაიხსნება 15 ოქტომ-
ბერს. მისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ამ
გამოფენაში, 1 სექტემბრამდელი უნდა გამოუ-
ცხადოს ოდესის კომიტეტს ეს თავის სურ-
ვილი.

„მაცნობებს რა ყველა ამებს მუთაისის გუ-
ბერნიის უეზლის ნაჩლნიკებს, ეთხოვ შეატ-
ყობინონ ეს ცნობები თავიანთ უეზდების მე-
ოჯახეებს; უფრო დაწერილებითი ცნობება გა-
მოფენაზე მსურველს შეუძლია ნახოს ჩემს
სამოქალაქო კანცელარიაში.“

თფილისის კლასიკური გემნაზიის მთავრო-
ბა აცხადებს, რომ ეგზამენები დაიწყება ამ
თვის შეიდიდან; სწავლა დაიწყება ლეინობის
თვის პირველსა.

წრელს კარგ პურის მოსავალს აქებენ
მართლშიაც და ძახეთშიაც.

ძახეთში წლებიდანელი ყურძენი ნაცარმა
ძალიან გააფუქა. რაც კი გადარჩა ისიც და-
სეტყვა. მარიამობის 12-ს, როგორც ქალაქში
მოვიდა სეტყვა, ძახეთშიაც ყოფილა და მე-
ლაფის ახლო-მახლო სოფლებში ევნახების-
თვის დიდი ზიანი მოუტია.

*) ლეინოს გარდა თამბაქოს გამოფენაც იქნება.

მართლში წრელს კარგი ლეინის მოსავა-
ლია. ძახეთის მაგიერობას კი ვერ გვიწამს,
მაგრამ იქნება ქალაქში ლეინოს ფასი არ მო-
ემატოს.

შპირილიდან.

რამდენიმე სიტყვა უფ. ახ—ეს.

„დროების“ კორესპონდენცია

ღმერთმან აკურთხოს კვირიკობის თე!
მოტკმ, ვაი თქვენს მტერს, საბრალო ზემო-
ურ იმერლებს საქმე მოგვივიდოდა. თითქო
წასრული წლის უჭირანხულობა არ კმარია
ჩვენი საბრალო ღირბის ხალხისათვის, რა-
მელიც ახალის გამოაზფხულებდნენ ეკალათი
და ფხლითა ცოლშვილიანათ საზრდოობდა!
თითქო განგებას სურდა დაჯა და შემოკ-
ლება ჩვენი ხალხის! მაგრამ კვირიკობის
თვემ ჩვილობბრივი თბილი ტარასი დაიჭრა
და მზემ თავის სიმხურვალით ხანგრძლივი
წვიმების გამო დამპალი და დანოყვილი ყა-
ნები გამოაშრო. ახლა კი სრული იმედია კა-
რგი მოსავლისა, რადგან მარიამობის თვემაც
ყანებს ხელი შეუწყო. რაიცა ლეინის მოსა-
ვალს შეეცება, ბურიიდან და სამეგრელოდ-
გან ისმის ხმები ნაკლები იქნება, რადგანაც
ევენახი გაფუქდა; მუთაისის უეზდშიაც ძლი-
ერ ემდურია; შორაპნის უეზდში, შვირილის
მარცხნივ მხარეს, სადაც კარგი დაბლარის
ლეინობი იცოდა, გაფუქებულია; საზოგადოდ
წარსულ დროებთან შედარებით, წრელს
ლეინის მოსავალი ნაკლები იქნება; პური,
თუმცა თვალად კარგი იყო, მაგრამ გამოა-
ვლი არ ჰქონია ისეთი, როგორც მუშა ხალ-
ხს იმედი ჰქონდა. სიმინი კი ბლომათ იქნე-
ბა, რადგანაც წრეგანდელი წელიწადისთანა
კარგა ხანია ჩვენ ხალხს არ ღირსებია.

ძლიერ გასაკვირველად დავგირჩა შვირი-
ლიდან გაზეთი „ძავეასის“ კორესპონდენ-
ცია მე 87 №-ში, რომელიც გვარწმუნებს,
რომ წრელს სარჩო არ მოვაო. ნუთუ
შვირილის კორესპონდენტს თვლი არა აქ-
ვს ნამუშევარს შეატყოს? მართალია, გამო-
ზაფხულის ხანგრძლივმა წვიმებმა, არათუ
ძლიერ შეწუხა ნამუშევარი, არამედ საზოგა-
დოდ სასოწარკვეთილებაში შეიყვანა მუშა-
ხალხს, თუ რომ კდეც განგრძოლებულიყო
ის უხიავი წვიმები, რომელიც მისში და ივა-
ნობის თვის შუამდინ იყო; მაგრამ კვირიკო-
ბის თვის დარებმა ისე გამოაკეთა ყანები,
რომ მუშა-ხალხსა სრული იმედი მიეცა; და
იმათი იმედი კიდეც აღსრულდა, რადგანაც
მარიამობის თვის პირველს რიცხვებში წვი-
მამ გამოკვალულ სიმინდებს, განსაკუთრებით
თბილ ადგილებში, ძირი გაუღებო და სიცო-
ცხლე მიანიჭა, და თორმეტს ამ თვიდან ქა-
რი დაუკავა, რომელიც ისე რიგათ ხელს უწ-
ყობს ტაროს დამწიფებას.

იმავე „ძავეასის“ ნომერში უფ. კორეს-
პონდენტი აგვიწერს შორაპნელების მიწის
შემუშავებას და დიდს გულმტკენეულებით და
მახვილის სიტყვებით გვიჩვენებს შორაპნე-
ლის ნაკლულევენებას. შმათერესი მიზეზი
შორაპნის უეზდში ქრინახულის მოუსე-
ლელობისა, უფ. ახ—ის მოსაზრებით, არის ნა-
კელით მიწის შემუშავებლობა. „ნაკელით
მიწის შემუშავებას მისთვის ერიდებიან, რად-
განაც მამაპაპის ჩვეულებას მისდევნო, მათი
დარწმუნება ესეთს სასარგებლო საქმეზედ
ყოვლად შეუძლებელია.“ შემდეგ განაგრ-
ძობს: „შვირილის სტანციაში ნაკელი გვერ-
დით აკრავთ, რომლის შოენა მუქთად შე-
უძლიათ, მაგრამ მუშა-ხალხი ისეთი კვრბი
არის, რომ არ დასდევს ამ გვარ კეთილ
სასარგებლო საქმეს.“ ჰოველი მიწის პატრო-
ნი და მუშა ძლიერ კარგა გრძნობს და დარ-
წმუნებულია, უფალო ახ—გო, რომ ნაკელი-
ნი ყანა ყოველთვის ბევრად უმეტეს ქრინა-
ხულის მიცემს, ვინამ იგივე, მაგრამ უნაკლო

მიწა; მაგრამ საიდგან უნდა იმეორებოდა
ყანის პატრონმა? მინ მიამწი, საპროდუქტო
შას ნაკელი, როდესაც მის ბარობაზედ ერთი
თუ ორი ხარი დაკინკილებს და იმანდაც მოვა-
ლებს ქორივით თვალები აქეთ გამოჭიმული!
პიდეც რომ ჰქონდეს ნაკელი, რა რიგათ უნ-
და ზილოს ორი ურმის ყანისათვის რამოდენ-
იმევე ეერსზედ? აქაურებს, მეროპასავით ერთს
ადგილას ხომ არა აქეთ თავის სარჩო ყანები:
ჩვენებურ ხალხს ნაკეთ-ნაკეთად აქვს მიწე-
ბი და ისე მოშორებით ერთი მეორეზე, რომ
სასოწარკვეთილებაში შეიყვანს იმათი შემუ-
შავება. პიდეც რომ შემუშავოს როგორც
რიგია ნაკელით, საექვოა, რომ შრომის
ფასში შემოვიდეს. იქვე ახ—ვი ამბობს:
„Объ овощахъ же вообще здѣсь и не
можетъ быть рѣчи, потому что шоропанцы
не занимаются огородничествомъ.“ თუ რომ
ბოსტნეულობა მარტოკა არტიშოკი, სატ-
კური და კომბოსტო არ არის, მაშინ თამა-
მად შეგვიძლიან ესტყვათ, რომ შორაპნში
არა თუ აქეთ ბოსტნეულობა, არამედ აუცი-
ლებელი საქირობაა მათთვის; უბოხტო. მუ-
შა-ხალხი სწორეთ ის არის რაც ომის დროს
უთოფო სალდათი; განა შეიძლება მისთანა
გლეხი, არ ქონდეს: ქარხალი, პრასა, ნიორი,
ლობო, ტარხუნა თაღამი, ნიხურა, ოხრა-
ხუში, ბადრიჯანი, ნესვი, კიტრი და სხვა?..
იქნება უფ. ახ—გმა იქილამ გამოიყვანა ეს
თავის აზრი, რომ ზესტაფონის მდელქნებს
იშვიათად აქეთ ბოსტნეულება და, საუბედუ-
როთ, არც სახლის თავებზედ თავისით ამო-
დის ხოლმე სხვა და სხვა წვანილები.

ძალიან ხშირათ გაიგონებთ ზოგიერთები-
საგან, რომ ჩვენი ხალხი საზოგადოდ ზარმა-
ცი ხალხია. ამ უსაფუძვლო აზრს იმერებს
ახლა უფ. ახ—ვი შორაპნელებზე: შორაპნელი
ხალხი ზარმაცია, ამტკიცებს უფ. „ძავეასის“
კორესპონდენტი. ამ მიზეზის გამო, მათშიდ
გვერცლებულია უსამართლოდ საჩივრების
დაწყება და კლიაუზნიკობა. მთელი ჩვენი
ხალხის გამოსარჩლებას მე არ შეუდგები, შო-
რაპნელი ხალხი რომ სრულებით ზარმაცი არ
არის, ამის დასამტკიცებლათ შემდეგ არგუშენ-
ტებს მოვიყვან, რომელნიც, იმედია, ყო-
ველ გონების პატრონს ნათლად დაარწმუნე-
ბენ: შორაპნელები—მე ვამბობ მდებალ-ხალ-
ხზე—სანან-სათეს მიწაზედ ძლიერ შევიწრო-
ებული არიან. საზოგადოდ ჩვენში მიწა პა-
ტარ-პატარა ნაკეთად აქეთ თავიანთ პატრო-
ნებს და მასთან, სხვა და სხვა მიზეზების გა-
მო, საშუალება არ აქეთ მიწას დაუბრუნონ,
რაც მისგან ელად აუღიათ არც იმ ტვარიით,
რომელსაც უფ. ახ—ვი გვიჩვენებს და არც სხე-
ებზე; ამ მიზეზების გამო მიწა შორაპნის უეზ-
დში, წარსულ საუკუნეებთან შედარებით,
დამცირდა ბუნების კანონების ძალისაგამო.
თუ რომ შორაპნელი მუშა ზარმაცია, მით-
ხარით, რომლის წყაროებიდან მოიძიებს ამის-
თანა მიწის პატრონი ხალხი საშუალებას და-
კმაყოფილოს სხვა და სხვა მოთხოვნილებები?
ზანა ადელი საქმეა ხაზინის, ბატონის და მღელ-
ლის დაკმაყოფილება? მს გადასახადი ხარკი
ნათლად გვიჩვენებს, რომ შორაპნელი მუშა
ზარმაცი არ არის. არ გინახვთ, უფ. ახ—გო,
მამლის ყივილის დროს, როგორ მიეშურებიან
აქაური გლეხები ყანაში? არ დაგიგდიათ ყური
მთვარიანს ღამეს ყანაში მათი სიმღერისთვის?
თუარა, ჯერ მაშ ნახეთ, ყური დაუგდეთ,
და მერე კი გექნებათ უფლება ილაპარაკოთ
ამ საგანზე.

მასაკვირველია, კაცი ზესტაფონს ცხოვრე-
ბდეს და არ იკითხოს—საპანლიანი ცხენებით
მუთაისისაკენ რომ მიეშურებიან—რა მიაქვთ,
ან საიდგან არიან? თუ რომ უფ. ახ—ეს მათ-
თვის ყურადღება მიექცია, მაშინ თითონ
დარწმუნდებოდა, რომ შორაპნიდან მარტო
ზესტაფონის გზით გარგა ძალი პური იზი-
დება. ნუ თუ შორაპნის ლეინო ცოტა ვაის-

ყიდა და ისყიდება, როცა მოთხოვნილება იყო და არის 1868 და 1869 წლ?

უფ. ან-ვი განსაკუთრებით გაცხადებული ებრძვის იმერულ ურემებს; იმას ვერ წარმო- უდგენია, რატომ არ შემოუღიათ აქ ქართუ- ლი ურემი, ან რუსული. იმას ვერ მოუფიქრია, რომ ჩვენებური სოფლების ეიწრო, ტალახი- ანს და აღმართ-დაღმართიან გზას მხოლოდ იმ- ისთანა ურემი მოუხდებოდა, როგორც ახლა არის. ჯერ გზები უნდა გაკეთდეს და მერე ხეირიანი ურემები თუ არ შემოიღონ, ნახავთ.

მეორე ადგილას თავის კორრესპონდენტია- ში უფ. ან-ვი ცხადად ამტკიცებს, რომ ის სრულებით ვერ იცნობს ჩვენ მხარეს; ის ამ- ბობს: „მეტიერის სახლს ძვირად ნახავს კა- ციო, ისიც მდიდარ მებატონეებს აქვსო; უმე- ტესი ნაწილი ხის სახლები იციანო, რადგანაც ტყე ამ ქვეყანაში უზნაოა.“ არ ვიცი სახლის საშენებელს ტყეს რას ეძახის უფ. ან-ვი! ჩიგენარი დიდი ბევრია შორაპანში, მაგრამ მისგან არც ძელი და არც ფიცარი გამოვა. სახელმწიფო მთებს გარდა ეხლა შორაპანში, შეიძლება თამამად ესთქვა, სრულებით არ არის (და თუ არის—მცირეა, საღაპარაკოთაც არა ღირს) საშენებელი ტყე. სხვა რამ სიე- თე თუ არა, შორაპანის უფ. ან-ვი მრავლისგან უმრავლესი სილა და ქვეა. მაგრამ ჩვენებური ხალხი მისთვის ეწყობა ხის შენობას, რომ უწინდელ დროში ხშირად გარდაქმნა და ახლაც გარდაქმნის თავის მოსახლობა ერთი ადგილიდან მეორეზე; მეორე მიხეზის ის არის, რომ შორაპანელნი ღურგლობის ხელო- ბას უფრო ეწყობიან, თითქმის ყოველ ოჯახ- ში ერთმა მაინც იცის ღურგლობა, ქვის ხე- ლობა კი მთელს შორაპანის უფ. ან-ვი ძალიან ბევრი იქნება ათიოდ კაცმა იცოდეს.

რაიცა შორაპანელების „კლიაუნისკობას“ შე- ეხება, ვიტყვი: ხალხზედ ერთის კალმის მოს- მით ისე მსუბუქი აზრის წარმოთქმა, როგორც უფ. ან-ვი წარმოთქვა, მეტის მეტი წინ- დაუხედლობაა. რამდენიმე ცუდი და უპატიოს- ნო კაცი ყველგან მოიხსება, მაგრამ ორმოც- და ათი ათასი მცხოვრებნი, ამ ათიოდის მიხე- ზით, არა გაილანდება გონიერი კაცისგან და რამდენიმეს ხასიათი მთელ ხალხს არ მიეწე- რება....

ს. ა.—ძე.

18 აგვ. 1870 წ.

რუსეთი

ჩვენ გავიგონეთო, ამბობს ამის ქვემო და- წერილი გაზეთი, რომ არტილერიის უწყების- თვის, ზარბაზნების დროზე დასამზადებლათ, უმაღლესი ბრძანებით გადაწყვეტილია 200,000 მანეთის მიცემა შრალის ქარხნებისთვის, საცა ამ ზარბაზნებს ამზადებენ. „*Гол.*“ № 229.

როცა ჩვენში შკოლები იმართება ყველა- ზე უფრო ძნელი მასწავლებლის შოვნაა. რუ- სეთში სასოფლო შკოლების მასწავლებლებ- ათ ხშირად ქალებს აყენებენ, მაგრამ ბევრ ალგას მაინც აკლდება, როგორც გაზეთებში სწერენ, და ამიტომ თვითონ იქაური საზოგა- დოება სცდილობს მოეხმაროს რაიმე საშუა- ლებით ამ საქმეს. აი, მაგალითად, რა უქნია რიაზანის გუბერნიის ერთი სოფლის გლეხებს: იმათ შეუწყირათ ზემსტრესათვის 8 დღიური და 500 საჭენი მიწა, რომელზედაც უნდა აშენ- დეს ისეთი შკოლა, საცა კარგა გაწერნილი სოფლის შკოლების მასწავლებლები უნდა გა- იზარდონ. ამას გარდა ეს სოფელი თავისთვის ორი შკოლის გახსნას აპირებს: ერთს ვაჭების- თვის და მეორეს ქალებისთვის.

ზაზეთს „ხმას“ გაუგონია, რომ უმაღლე- სად დამტკიცებულა შემდეგი დადგენილებები

სახელმწიფო რჩევისა: 1) სამხედრო სამინის- ტროში—1870 წლის ინტენდანტის სმეტდი- გან დაუნიშნავთ 145,000 მან. სამხედრო ლა- შკიტლებისათვის. „*Гол.*“ № 230.

2) მხტის თოფის წამლის ქარხნებთან უნ- და აშენდეს ხუთი ქვეთიარის სარდაფი თო- ფის წამლის შესანახად.

3) ბეარდიის ქვევითა ჯარში დაურიდებო- ახალი (ძარღვის სისტემის) თოფები; თითო პოლკს ამ თოფით ოთხას ოთხმოცი თოფი

უნდა მიეცეს. „*Гол.*“ № 232.

არც როსტოვში, არც ტაგანროგში და არც სხვაგან, საცა კი იყო წელს ხოლგრა, ჩვეულებრივად არ გაძლიერებულა და ამჟამად, როგორც ამბობენ, ყველგან ჰკლებულობსო. ახლა პეტერბურლის ვაჭრებში სწერენ, რომ ვითომც იქ (პეტერბურლში) ყოფილიყო რამ- დენიმე შემთხვევა ხოლგრით ავთამყოფობის და სიკვდილისა; მაგრამ რადგანც ზამთარმა მოაწია, უტყველია, ახლა სულ აღარ ექნება ხოლგრას ძალი და, სადაც უნდა გაჩნდეს, მა- ლე მოიხსობა.

ერთი რუსული გაზეთის კორრესპონდენტი იწერება ნიჟნი-ნოვგოროდიდან, რომ იქა- ურს მაკარიის იარაღ უკანაში ეპქრო- ბა ჯერ-ჯერობით ხეირიანად ვერ მიდისო; თითქმის მდიდარი და ფულიანი ვაჭრები ყველა უფულობას უჩივისო და ეს არისო იმის მიზეზი, რომ ვაჭრობა ვერ არის გაძო- ველებული. მაშინ და ბამბის საქონე- ლი კარგა ბლომად გაყიდულა, მაგრამ იმ ფასათ კი არა, რა ფასის აღებას გამოიძევე- ბი და მწარმოებლები მოელოდნენ. უფრო მომეტებული ნაწილი ბამბის საქონლისა კი გაჩერებულია თურმე, არ ჰყიდიან პატრონები, რამის გათავებას მოელოდნენ და მაშინ უფრო რიგიანი ფასის აღების იმედი აქეთ. შევლაზე მომეტებული და უკეთ ფასათაც რკინა და რკინეული საქონელი იყიდება. იარ- მუქაში ყოველ წლობით თითქმის ათი მილი- ონის რკინეულობა იყიდება და ერთი მილი- ონის სპილენძიული. შიზლარის დეინო ჯერ-ჯერობით სულ არ გადის მაკარიას; ამ ხანებში იქ მისულა ამბავი, ვითომ 27, 28 და 29 აგვისტოს შიზლარში ყოფილიყოს სა- შინელი გვალვა და სიცხეს სულ დაეწვას ყურ- ძენი; მაგრამ ეს ამბავი, როგორც ამბობენ, დასაჯერებელი არ არის. არც პურის ე- პქრობა მიდის თურმე ხეირიანად; ამის მი- ზეზი ის არისო, როგორც ამბობენ, რომ, ომიანობის გამო, პური ვერ გააქეთ სამზღვარს გარეთ და ამას გარდა პეტერბურლში, აქ და რიბინსკში ერთობ ბევრ პურს მოუყრია თა- ვი და პატრონები იათათ არ ჰყიდიან და ძვი- რათ არაეინ ჰყიდულობს.

სახალხო განათლების სამინისტროს წარუ- დგენია დასამტკიცებლათ უმაღლესი მთავრო-

ტელეგრაფი.		მან. კაპ.	
მ. სიტყვიანი დეპეშის გაგზავნა თვი- ლისიდან ღირს:			
გუმბრს, ბანჯას, ბაქოს	—	1	
ახალიციხის, ბორჯომის, მუთისის	—	1	50
ბოჯორს, ბორს, ლუშეთის	—	2	
მოსკოვს, ასტრახანს,	—	1	
ნახიჩევანს, მლადიკეკასს, ნუხას,	—	2	
ნიჟნს, ოლესას, როსტოვს,	—	1	
შოთს, ოპოზის	—	3	
ს. პეტერბურლს	—	3	50
სურამს, სიღნახს,	—	2	
ტაგანროგს	—	1	
ტეგრ-ხან-შურას, მრეკანს, შერბას	—	3	75
ანგლიაში (შველა ქალაქებში)	—	3	38
ზრანციაში	—	3	50
იტალიაში და რომში	—	3	
ოსმალეთში (სტამბოლს)	—	3	

ბისათვის კანონდებულება, რომლის ძალით შემდეგში სასოფლო შკოლებში კურს-შეს- რულებულები განთავისუფლებული უნდა იყე- ნენ სხეულის დასჯისაგან.

ნაკრები

10 აგვისტოს ერთი შესანიშნავი საქმე მოხდა მისკოვს: წინაღუდს, საღამოს, ერთს სასტუმროში მივი- და კარგად ჩატული ახალგაზდა ქალი და დიქტირავა ოთახი; ცოტა ხანს უკან ამ ქალთან მივიდა ვიღაც აფიკარი და ესენი მართლად დარჩნენ ნომერში. მეორე დღეს საღამომი ეს ქალი არ გამოსულა თავის ოთა- ხიდან, საღამოს წავიდა საღამო, მაგრამ ისევ მაღე დაბრუნდა; ნახევარ საათს არ გაუვლია ქალის დაბრუ- ნების შემდეგ, როგორც იმის ოთახის გვერდში მდგომს სტუდენტს შემოეცნა დამაშის ხმა. იმჟამვე მივარდენ კარებს, მაგრამ ჩაკეტილი იყო; ცოტახანს შემდეგ პო- ლიცია მოიყვანეს და კარები რომ ჩამატყვის, საში- შარი სანახავი ნახეს; ოთახში, ძირს პოლზე, ეგდო ახალ- გაზდა ქალი და სისხლში სცურავდა; იქვე იმის გვერ- დით იდგა რვა-ღულდანი რევოლვერი. საცოდეს შიგ- შუბლში, მარჯვენა საფეროქელთან, ერთა ტყვია და, რასაკვირველია, იმჟამვე სული ამოსძრებოდა. აღმოჩ- ნდა, რომ ეს საცოდესი ერთი ჩინოვნიკის ქალი ყო- ფილა; 1866 წ. იმას შეუსრულებია სწავლა ნიჟო- ლევის ინსტიტუტში. აქამა არ იცის ბევრთად—რამ აი- ძულა ეს ახალგაზდა ქალი თავის მოსაკლელად. ბა- მოძიება დანიშნულია.

ერთ ფრანკულ გაზეთში მოყვანილია შემთხვევა, რომელიც ამტკიცებს რა გასაოცარი სითამამით იქცე- ვიან ომში პრუსიელი მხედრები: „24 აგვისტოს ერთი ულანი (მხედარი), ერთად ერთი კაცი, შემოვიდა წვეს გაზაგრებულ ქალაქში—მეტროში. ქალაქის მცხოვრებ- ლები, გაკვირვებულები, შემოგვიხედნენ ამ ულანს, რომელიც თითქმის არა იცოდა, მიდიდა თავისთვის; მი- აწია თურა ქალაქის მედნთან, იმან დაიყვარა: „მე პრუსიელი ვარ და საერთო ვაცხადებ, რომ დღეის შემ- დგ ეს ქალაქი პრუსიელს ეკუთვნის!“ ეს დაიძახა, მოაბრუნა ცხენი და გავიდა ქალაქიდან. ზაბრუნდა თუ არა ულანი, ხალხში ერთხმად შეჰქნეს ხარხარი.

ერთს ფრანკულ გაზეთში გამოაჩინებულია ნემცების მხრით ომში მოკლულების რიცხვი, მოგვ- ყვის რამდენიმე რიცხვი ამ გამოაჩინებულად:

მეისენბურგთან მოკლულად	—	11,512
მეტრთან	—	25,590
ჟორაბათთან	—	40,507
მეტთან (ერთხელ)	—	3,000
ლონგვილთან	—	26,750
14 და 16 აგვისტოს (მეცის ახლოს)	—	29,025

სულ — 146,000

ამ ანგარიშს რომ 16 აგვისტოს შემდეგ მოკლუ- ლები დაუმატოთ, სულ უკანასკნელი 200,000 კაცი მაინც იქნება მართო პრუსიის მხრით მოკლული. ახლა ამდენიც ფრანკულების მხრითაც იქნება, თუ მეტი არა, 400,000 კაცის მაგივრად 300,000 ჩაე- გდოთ. მართი თვის, ან თვეწახვერის განმავლობაში 300,000 მომეტებული ნაწილი ახალგაზდა და მოწი- ვული ვაჭრების მოკლა ხუმრობა საქმე! რამდენი შეიღები დარჩება ამ ომიანობისგამო უმამოთ, რამდო- ნი დღიური მიწა შეუმუშავებლათ!.... დღე-მიწაზე ამისთანა სისხლის ღერა და ამდენი უბედურება ასე მოკლუხანში დიდხანია არ მომხდარა.

ზუგდიდის მცხოვრებელ დედ-კაცს—ბუხა ლის- ტოლოროვისას—ქმარი დაკარგო და როგორც შეუძ- ლია გამწარებული დაეძვბს. ზუგდიდის უფდის სამარ- თველო უტანდებს ამ ამბავს მუთისის გუბერნიის პო- ლიცებს და სთხოვს იმათ მოახდინონ განკარგულება და, თუ მოწახონ სადმე, ყარაულს ქვეშ გამოგზავნონ ზუგდიდში, რათა თავის კანონიერ ცოლს ჩაბრუნდეს.

თფილისში მოდის: რუსეთიდან—ყოველ დღე საღამომდით, ოთხ- მაჯათს გარდა. ქუთაისიდან—ხუთშაბათს, შაბათს და ორშაბათს დილის 8 საათზე. მრეკიდან—ხუთშაბათს, შაბათს და სამშაბათს შაბათდღის 3 საათზე. ზუზბიდან—სამშაბათს დღისით 1 საათზე. ბაქო-ს გუბერნიიდან—ორშაბათს წაშუადღის 4 სა- თზე. ქუთაისში მოდის: თფილისიდან რუსეთის ფრანკულთან ერთთ. შაბათს საღამოს 6 საათზე. მზურგეთს და ზუგდიდს—ორშაბათს საღ- მისათზე. თფილისში და რუსეთის ყველა ქალაქში— ოთხშაბათს, პარასკევს და კვირას შუადღეში. ბახალციხეს და ბორჯომს—პარასკეობით.

განცხადება

სახელმწიფო სასწავლებელში ქალაქში
თმის
მარანცოვის ნაპირზე, კნ. თუმანოვის ს
ლში, ქვეით ეტაჟა
თფილისს

შეაწილებების მიღება სასწავლებელში
ყება ენკენისთვის პირველ რიცხვიდან. ს
წავლებელში ასწავლიან:

- ა) საღმრთო წერილს;
 - ბ) რუსულ და ქართულს წერა-კითხ (სამხურო და ნემცური ენის სწავლებას იწყებენ სასწავლებელში, თუ ათამდი უკ- რიბა სოხის ან ნემცის ყმაწილები).
 - გ) პოველგარი პერანგეულობის და ლის ტანსაცმელის კერვას მაშინაზე, აგრეთ- კრას და კაბის გაწყობას;
 - დ) წიგნების აკინწვას და უდის კეთებას;
 - ე) ბაშმაკების კერვას.
- შენიშვნა: ყმაწილს შეუძლიან ან ყ- ლა ეს ხელობები ისწავლონ, ანა და მარ- ის, რომელსაც დედ-მამა ისურვებს. სასწავლებელში სწავლა დილის რვა სა- ზე იწყება და თავდება ნაშუადღევს ორ სა- ზე. სასწავლებელში ყმაწილები ათი წლ- და მეტისანი მიიღებიან. პოველი მაკირი, რომელიც სასწავ- ლელში სწავლას დაასრულებს, მიიღებს მო- მობას, რომელშიც მოხსენებული იქნება სწავლობდა მაგირი და რა ხელობა ი- კარგათ.

სწავლის ფასი თვეში მანეთ-ნახევარია. სასწავლებელი თუთხმეტ ყმაწილს უ- სოთ ასწავლის, თუკი დარწმუნდა, რომ ყმაწილების ღედამას არა აქეთ შეძლ- რომ სწავლის ფასი გადაიხადონ. მინც სასწავლებელში ყმაწილის ჩარიც- აპირებს და მოლაპარაკება სურს იმაზე, რა უნდა ასწავლონ სასწავლებელში, გორ, ან რამდენ ხანს, იმას სთხოვენ სას- ლებელში მომზადდეს და უფ. ლუკა- კი იკითხოს. ჯერ-ჯერობით სასწავლებელის სახელო- ნო განყოფილება მიიღებს შემდეგ სამუშა- პაცის და ქალის პერანგს. 50 კაპ. 1 მა- ბალიშის პირი. . . . 15 — 20 კაპიკაშ- მალის კოჭა 75 — 3. 50 კაპ- ზინგასი კანწო

მ. დუბლირის სტამბა

(გზლა მ. წერეთლის და კომ.), რო- მელიც აქამომდი ატლბარში იმყოფე- ბოდა, პრაიანტის მაღაზიის გვერდით, გა- დმოვიდა სოლოლაკში, სერგეის ქუ- ჩაზე, მრეკლეს სასახლის პირდაპირ, ხატი- სოვის სახლში. ამ სტამბაში მიიღება დასაბეჭდათ ყო- ეველგარი სამუშაო, რუსულ, ქარ- თულ, სომხურ, მათრულ და შრანცულ ენებზე.

მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში ისყიდება

საწერი რეპუალი

სურათებითა

ფასი 1 შაურია.